ლომი

16–22 მარტი, 1995 წ. ● №9 (10920)

ფასი 600 რუბლი, ან 200 000 კუპონი.

დავით ყიფიანი და გიორგი ქინქლაძე სამშობლოში ბრუნდებიან

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და დირექტორატის წევრმა რომან შოთაძემ პრეს-კონფერენცია გამართეს.

სპორტულ ჟურნალისტებს უამბეს ბოლო ნახევარი წლის მანძილზე გუნდში მიმდინარე პროცესების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ უეფას თასის გათამაშებაში თბილისის „დინამომ“ მოაგროვა კოეფიციენტი, რომელიც საქართველოს სხვა კლუბებს შესაძლებლობას მისცემს იასპარეზონ ევროტურნირებში, მისმა ხელმძღვანელობამ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია გუნდის გამოსვლა ევროპულ სარბიელზე. ამიტომაც დირექტორატმა დააკმაყოფილა მაშინდელი მთავარი მწვრთნელის გ. ნოდიას თხოვნა გადადგომის შესახებ.

კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ვლადიკავკაზის „სპარტაკში“ გადავიდნენ მ. შელია და ზ. რევიშვილი, გერმანიის „ტენის-ბორუსიაში“ — რ. არველაძე და გ. ინალიშვილი. მ. ჟორდანიას აზრით ამ კლუბში ისინი დიდხანს არ გაჩერდებიან და უფრო პრესტიჟულ საზღვარგარეთულ კლუბში გადავლენ, რაც შეეხება შ. და ა. არველაძეებს, მათ თურქეთის „ტრაბზონსპორთან“ დადებული აქვთ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი, რომლის ვადის გასვლის შემდეგ კვლავ „დინამოში“ დაბრუნდებიან. მ. ყაველაშვილის, გ. ჯამარაულისა და გ. ქინქლაძის შესახებ ითქვა, რომ ისინი წლევანდელ საფეხბურთო სეზონს „დინამოში“ დაამთავრებენ (გ. ქინქლაძე სულ ახლახან დაბრუნდა სამშობლოში არგენტინის კლუბ „ბოკა ხუნიორსიდან“, ვინაიდან მან საქართველოს ეროვნული ნაკრების ინტერესები საკუთარზე მაღლა დააყენა. არგენტინელები თანახმანი იყვნენ, რათა გიორგის ოჯახის ნაცვლად მხოლოდ ორჯერ მოეაჯა ნაკრებში).

შეკითხვაზე, თუ რა იყო ს. კუტიავაძის გუნდიდან განთავისუფლების მიზეზი, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ თავი აარიდა პასუხს. ითქვა, რომ მთავარ მწვრთნელად მოწვეულია ამჟამად კვიპროსში მომუშავე დ. ყიფიანი, რომელიც მალე ჩამოვა თბილისში.

„დინამოს“ ხელმძღვანელობამ უარყო ხმები, თითქოს გუნდს განზრახული ჰქონდეს იასპარეზოს ე.წ. დსთ-ს პირველობაზე, ხოლო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას დუბლშემადგენლობით აპირებდეს. სასურველია, თანამეგობრობის უძლიერეს კლუბებს ვეთამაშოთ მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატებში არსებულ ინტერვალებშიო.

ჯემალ ჭიპაშვილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლონდ ბიუჯეტიდან დაფინანსება გაიზარდოს...

ვის და რატომ ეშინია კონტროლის პალატის? ვფიქრობთ, პასუხი ამ კითხვაზე ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს — მართალს არავისი არ უნდა ეშინოდეს.

ჩვენი სპორტის დეპარტამენტისა და მისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების შემოწმებამ, რაც კონტროლის პალატას გეგმით ჰქონია გათვალისწინებული, თავდაპირველად გაოცება გამოიწვია. გაოცება იმან, რომ დღეს, ჩვენს სპორტს, შემოწმებაზე მეტად დახმარება ესაჭიროება. თუმცა, ვფიქრობთ, შემოწმების საბოლოო შედეგები უთუოდ დაეხმარება კატასტროფის წინაშე მდგარ ქართულ სპორტს — ამჯერად მაინც, მთავრობა, ისეთი ავტორიტეტული და სარწმუნო ორგანიზაციისაგან, როგორიცაა კონტროლის პალატა, შეიტყობს, რომ თურმე საქართველოში სპორტის გადასარჩენად ორჯერ და სამჯერ მეტი სახსრები იხარჯება (ცხადია, ესეც ძალზე ცოტაა), ვიდრე ბიუჯეტი იძლევა. სპორტს და სპორტსმენებს მეტწილად ხელს ისინი უწვდიან, ვისთანაც სპორტის დეპარტამენტმა პარტნიორული ურთიერთობა დაამყარა, ცოტა გაიღო მათთვის, შემდეგ კი ბევრი დაიბრუნა.

სპორტის დეპარტამენტის კოლეგიამ იმსჯელა შემოწმების შედეგებზე და ზოგიერთ საკითხში სიცხადის შეტანის გათვალისწინებით მთლიანად გაიზიარა კონტროლის პალატის შემოწმების შედეგები.

ჩვენი მხრიდან დავძენდით, რომ ოლონდ ბიუჯეტიდან სპორტის დაფინანსება გაიზარდოს და... უმიზნოდ ერთი კაპიკიც არ დაიხარჯება — ხელისუფლებას შეუძლია მშვიდად იყოს.

პირველი ჩემპიონის იუბილე

ოლიმპიური თამაშების პირველ ჩემპიონს საქართველოდან (ჰელსინკი, 1952 წ) დავით ციმაკურიძეს 70 წელი უსრულდება. სახელგანთქმული ფალავნის საიუბილეო ღონისძიება თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება 30 მარტს. დასაწყისი 12 საათზე.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ჭადრაკში
მაია ჩიბურდანიძე — ჟუჟა პოლგარი

ასეთ მარცხს ნამდვილად არავინ მოელოდა. სპორტში ყველაფერი ხდება, მაგრამ გასაგებია ის, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება. იყო კი მაია ჩიბურდანიძის ასეთი შედეგი ჟუჟა პოლგართან კანონზომიერი? 5,5:1,5 პოლგარის სასარგებლოდ — ბევრი რამ არის დამაფიქრებელი ამ შეფარდებაში.

ფეხბურთი — ფეხბურთი

საქართველო — გერმანია

გერმანელ ფეხბურთელთა სტუმრობამდე დიდი დრო აღარ რჩება. „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ეროვნული ნაკრებების მატჩს იმსაჯებენ ინგლისელი არბიტრები: მ. ბოდენჰემი, ს. ბენეტი, რ. პერსონი, სარეზერვო მსაჯი — ს. ლაჯი.

ცნობილი გახდა, რომ ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრებების შეხვედრას მოემსახურებიან პოლონელი მსაჯები: ზ. ზიობერი, მ. ჩერიანი, ს. ჩუევსკი, სარეზერვოა მ. დუშა.

უეფას დელეგატად (კომისრად) ორივე მატჩზე დანიშნულია წარსულში ცნობილი მსაჯი, იტალიის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი პაოლო კაზარინი.

* * *

გერმანიის ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს თბილისში ჩამოყვება გერმანელ ჟურნალისტთა 100-კაციანი დელეგაცია. მათ შორის 50 ტელეჟურნალისტია, 10 — რადიოჟურნალისტი. დელეგაციაში შედიან სპორტული ჟურნალისტები „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოდან, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან — „ექსპრესი“, „ფრანკფურტერ ალგემაინე“, „ფრანკფურტერ რუნდშაუ“, „ჰამბურგერ აბენდლატი“, „ჰანოვერ ალგემაინე“, „ზიუ დოიჩე ციტუნგი“, „შოუბიშ ციტუნგი“, „შტერნი“, „დი ველტი“, „დერ შპიგელი“, „ვესტ დოიჩე ალგემაინე“ და ა.შ.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებს მოუწევთ თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის და რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონებზე 30-მდე საერთაშორისო ტელეფონისა და ფაქსის დაგება.

ნუკრი კაკილაშვილი:
დროულად დაიჭირეთ ბილეთების შეძენის თარიღები

საქართველო- გერმანიის ნაკრები გუნდების შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენს ეროვნულ სტადიონზე დიდი აჟიოტაჟია. დილიდან გვიან ღამემდე მთელი დატვირთვით მუშაობენ სტადიონის თანამშრომლები. ყველაზე მეტი ჯაფა, ცხადია, რესპუბლიკის ამ უმთავრესი სპორტული არენის თავკაცს ნუკრი კაკილაშვილს და მის მოადგილეებს ადგას.

— არც კი ვიცით რა გვეშველებოდა გერმანული ფირმა „იბელი “ რომ არა. მეშვიდე თვეა ამ ფირმასთან ვთანამშრომლობთ და ბევრი რამის გაკეთება უკვე მოესწრო — ამბობს ბატონი ნუკრი. ამ საუბრიდან შევიტყვეთ, რომ „იბელს“ თავის ფილიალის შტაბ-ბინა იქვე, სტადიონზე ჰქონია, რაც ხელს უწყობს საკითხების ოპერატიულად გადაჭრას. ეს ფირმა აფინანსებს სტადიონის გადახურვას, ჩვეულებრივი სკამები შეიცვლება პლასტმასის სკამებით, რაც უეფას მოთხოვნით ყველგან უნდა განხორციელდეს 5 წლის ვადაში. ჩვენთან კი ჯერჯერობით 15 ათასი ასეთი სკამი დაიდგმება. ჩატარდა კომპლექსური სარემონტო სამუშაოები, კეთილმოეწყო გასახდელები და საშხაპეები, ახალი დანადგარებით მთლიანად მოიხსნება ცხელი წყლის პრობლემა (თურმე, მთავარია, ცივი წყალი არ შეწყდეს). ფირმის წარმომადგენლები ამ დღეებში ჩამოიტანენ ნათურების ნიმუშებს, რაც შესაძლებელს გახდის 700-800 ლუქსიდან სტადიონზე განათება სავალდებულო ნორმამდე — 1200 ლუქსამდე გაიზარდოს. ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა ყველა სამსახური, ვისაც ეს ეხება. იდეალურად გამოიყურება სათამაშო მინდორი.

პირველად ამ მატჩზე გაიყიდება უცხოური სუვენირები, მათ შორის დიდი ნაწილი ფეხბურთის სიმბოლიკით. პრესცენტრი იმუშავებს 24 მარტიდან, რაც ასევე პირველი შემთხვევაა. სტადიონზე უკვე გაიყიდა ათი ათასობით ბილეთი, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რაც შეკვეთითაა გაცემული.

სტადიონის ხელმძღვანელობა აფრთხილებს ყველას, რომ ბილეთების გაუდგა შეწყდება თამაშამდე ორი დღით ადრე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ბილეთები დარჩება, მათი რეალიზაცია მოხდება არა სტადიონზე, არამედ მის მისადგომებთან, წესრიგის დამცველთა პირველსავე კორდონამდე, რამაც ფაქტობრივად უნდა გამორიცხოს უბილეთოთა მოხვედრა სტადიონზე. შეგახსენებთ, ბილეთის ღირებულება 10-7 ათასი მანეთია. ფასი საერთაშორისო წესებით სფფ-ამ დაადგინა.

«მტკვრისპირელი შევარდენი»

გიორგი სიმონის ძე ეგნატაშვილი. 12.3.1885 — 16.1.1962. სპორტის დამსახურებული ოსტატი (1936), სსრკ დამსახურებული მწვრთნელი (1954), საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი (1945). დამთავრა პრაღის უმაღლესი სატანვარჯიშო კურსები (1909). მუშაობდა ტანვარჯიშის მასწავლებლად თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. დიდხანს ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზაღზრდას თბილისის სკოლებსა და ტექნიკუმებში, ჩამოაყალიბა და განაგებდა ტანვარჯიშის კათედრას საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, მუშაობდა უფროს მასწავლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1918). აღზარდა ქართული სპორტის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის არჩილ ბაქრაძე, გიორგი მერკვილაძე, დიმიტრი ჩიკვაიძე, ნიკოლოზ მეიფარიანი, გულო რცხილაძე, გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, ნიკოლოზ თაყაიშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე, მიხეილ გიორგაძე, ვახტანგ ციციშვილი, დავით ჯავიშვილი, ვასო ვერულაშვილი, ვალოდია პროკოფიევი, ვართან კასაბიანი, მიხეილ აგლაძე, დიმიტრი მიქაბერიძე, პავლე რომანიშვილი, ლევან უანჩაველი, კოტე ზაალიშვილი, დიმიტრი ახვლედიანი, მზია ჯუღელი, იულია ფარესაშვილი, მარო ბეჟანიშვილი და სხვები.

1912 წელი. „სოკოლის“ ფორმაში გამოწყობილი გიორგი ეგნატაშვილი პრაღის სტადიონზე.

გიორგი ეგნატაშვილი 16 წლის ასაკიდან გაიტაცა ტანვარჯიშმა. მისი მასწავლებელი და ახლო მეგობარი გახლდათ ჩეხეთიდან მოწვეული მწვრთნელი ანტონ ლუკაში, რომლის დაუცხრომელმა გარჯამ და შეგირდის ფიზიკურმა მონაცემებმა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

1907 წელს გიორგი ეგნატაშვილმა პირველად გაიტანა დედასაქართველოს სახელი მის ფარგლებს გარეთ. ეს იყო სრულიად „სოკოლის“ V საერთაშორისო ასპარეზობა ტანვარჯიშში, სადაც მსოფლიოს 1800 რჩეული სპორტსმენი მონაწილეობდა. 1912 წელს „სოკოლის“ VI საიუბილეო მოფრენაში (შეჯიბრებაში) კი მონაწილეობდა 187 ნაკრები. თბილისის გუნდმა დაიკავა II ადგილი და დაჯილდოვდა I პრიზით — ცაცხვის გვირგვინით, რომელსაც გარსერტყა ეროვნული ბაფთა, ვერცხლის სოკოლური მონოგრამით და დიდი დიპლომით. შეჯიბრებაში მონაწილე 2241 ტანმოვარჯიშეს შორის გ.ეგნატაშვილი III საპრიზო ადგილზე გავიდა და პრიზი გადაეცა.

პრაღა მოხიბლული იყო გიორგის გამოსვლებით, იმდროინდელი გაზეთები დიდების შარავანდედით ამკობდნენ მას: „გიორგი ეგნატაშვილი ქართული ტანვარჯიშის მშვენებაა“, ერთ-ერთმა გაზეთმა გიორგი ეგნატაშვილს „მტკვრისპირელი შევარდენი“ უწოდა. აი რა ეწერა: — ...„პრაღა მოხიბლულია ქართველი ტანმოვარჯიშეებით. მათი ვარჯიში გამოირჩევა მაღალტექნიკურობით, სიმსუბუქით. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს გიორგი ეგნატაშვილი. ჩვენი აზრით, იგი გუნდის № I სპორტსმენია. მისი დახვეწილი, მაღალი ტექნიკა, მოქნილობა და ვარჯიშის მრავალფეროვნება, ქართული ცეცხლითა და ტემპერამენტით ყველასაგან გამორჩევა... ეგნატაშვილი დაამშვენებდა მსოფლიოს ყველა გუნდს“. და მართლაც, გიორგიმ „დაიპყრო“ პრაღა.

გიორგი ეგნატაშვილისათვის სპორტული შედეგი როდი იყო ცხოვრების თვითმიზანი, დღენიადაგ ქართული სატანვარჯიშო სკოლის დაარსებაზე ოცნებობდა.

1910 წლიდან თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში რჩეული ბიჭები შემოიკრიბა და შეუდგა სანუკვარი ოცნების განხორციელებას.

გიორგი ეგნატაშვილი იყო მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი პედაგოგი.

1916 წელს გაზაფხულზე ჯარში გა-

იხ. მე-2 გვ.

ჯინჯიხაშვილი უბილავას წინააღმდეგ

ესპანეთის საკურორტო ქალაქ ლას-პალმასში დაიწყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი პროფესიული ჭადრაკის ასოციაციის („პროფეშნლ ჩეს ასოციეიშნ“) ვერსიით ამერიკელ გატა კამსკისა და ინდოელ ვიშვანათან ანანდს შორის.

პირველ პარტიაში შავებით მოთამაშე კამსკიმ გამარჯვება მოიპოვა 33-ე სვლაზე. უფრო სწორად ესპანურ პარტიაში ინდოელმა დიდოსტატმა დროს გადააცილა — ვერ მოასწრო რვა საკონტროლო სვლის გაკეთება. მეორე პარტია კი ფრედ დამთავრდა. მეტოქეებმა სულ 12 პარტია უნდა ითამაშონ. მატჩის საპრიზო ფონდია 100 ათასი დოლარი. ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ასოციაციის ჩემპიონის სახელს შეეცილება გარი კასპაროვს.

კამსკის სეკუნდანტებია ყოფილი თბილისელი დიდოსტატი, ამჟამად აშშ-ში მცხოვრები რომან ჯინჯიხაშვილი და მოჭადრაკის მამა რუსტამი, ანანდს კი ელიზბარ უბილავა (საქართველო) და არტურ იუსუპოვი (გერმანია) ეხმარებიან.

„რიბოკი“ თბილისში

უნივერმაღ თბილისში გაიხსნა სპორტული ნაწარმის ცნობილი ფირმა „რიბოკის“ მაღაზია, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში.

ცხოვრება სპორტში



ოსტატი და შეგირდი — ვასილ ილურიძე და მისი ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე ვლადიმერ რუბაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ვერ იცხოვრა, ვასილ ილურიძის მოდგმას ბედის მიმართ სამდურავი არ ეთქმის. მან ყველაფერი კაცურად იცოდა და ამაში იყო მისი ძალა და ხიბლი — მუშაობაც, ლხინიც, ადამიანებთან ურთიერთობაც. ასეთ პიროვნებაზე იტყვიან წუთისოფლიდან ვალმოხდილი წავიდაო. იტყვიან და არც შეცდებიან. თუმცა კი ორმოცდამერვე გაზაფხული რაა ადამიანის ცხოვრებაში, იმასაც ვერ მოესწრო.

მოწოდებით აღმზრდელი იყო და რჩევა-დარიგებებს მუდამ საქმიანს იძლეოდა. ხელს უმართავდა ყველას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. აკი ამიტომაც, თავისი არც თუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ახალგაზრდობის სამსახურს შეალია. არადა, თავადაც კარგი მოჭიდავე იყო: აზრიანი, ტექნიკური, მიზანმიმართული. სწორედ ამ თვისებათა გამო და კიდევ იმიტომ, რომ სხვებზე სასიკეთო გავლენა ჰქონდა, წლების მანძილზე ქართული საჭიდაო სკოლის ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა, მის სინდისად და ნამუსად.

ვასილ ილურიძე ცამეტი წლისა უკვე ჭიდაობდა, თუმცა მისი ნამდვილი სპორტული ბიოგრაფია ალბათ მაინც 1945 წლიდან დაიწყო, როცა მაშინდელ ლენინგრადში თავი მოიყარეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა. იმ დამფუძნებელ შეჯიბრებაში გამოსვლის სურვილი ათამდე ქალაქის წარმომადგენლებმა გამოთქვეს. ყველაზე ბევრი ფალავანი ლენინგრადს, მოსკოვსა და თბილისს ჰყავდა. ლენინგრადს იმიტომ, რომ ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქი იყო და იქაურ სპორტულ ორგანიზაციებს რამდენიმე უმაღლესი ჯილდოს „დათრევის“ იმედი ჰქონდათ. მოსკოვი, ქვეყნის დედაქალაქის კვალობაზე, არ უნდა ჩამორჩენოდა მოდას, რომელმაც საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი. თბილისში კი, უბრალოდ, ბევრი მაღალი კლასის ფალავანი იყო, თანაც ქართული ჭიდაობის ტრადიციებზე აღზრდილი, რომლებსაც სხვა თუ არაფერი, თამამად შეეძლოთ პრიზიორთა მწყობრში ჩადგომა. ერთი სიტყვით, ნევის ნაპირებს ყველა გუნდი კონკრეტული გეგმებითა და ზრახვებით ეწვია. ყველაზე მეტად რეალური და დასაბუთებული პრეტენზიები საქართველოდან წარგზავნილთ აღმოაჩნდათ. ლენინგრადში გუნდური შედეგები არ აღურიცხავთ, თორემ პირველ ადგილს უსათუოდ საქართველოს ფალავნები დაიმსახურებდნენ. საქმე ის იყო, რომ ცხრა ქართველი მოჭიდავიდან მეექვსეზე უარესი ადგილი არავის რგებია. ჩემპიონი გახდა ოთხი ათლეტი — ვასილ ილურიძე, დავით ციმაკურიძე, ვალარშაკ მაჩკალიანი და არსენ მეკოკიშვილი. შოთა ესებუამ ციმაკურიძის წონაში (საშუალო) მეორე ადგილი დაიკავა. ლეონიდ ძეკონსკის წილად ხვდა მეოთხე ადგილი, კალე შეყრილაძესა და ვახტანგ კუხიანიძეს — მეხუთე. სხვებზე უფრო მეტად მოკრძალებული შედეგი — მეექვსე ადგილი აღმოაჩნდა საშუალო წონის კიდევ ერთ მონაწილეს ივანე ალიხანოვს.

რატომ შევაჩერეთ ესოდენ დიდი ყურადღება ამ ჩემპიონატზე? იმიტომ, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ქართველ ფალავანთა ყველა შემდგომ წარმატებას როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე და კიდევ იმიტომ, რომ სწორედ ამ ჩემპიონატის შემდეგ დაიწყო მეტად საინტერესო სპორტული პაექრობა და... მეგობრობა ორ შესანიშნავ მოჭიდავეს, თბილისელ ვასილ ილურიძესა და კიეველ არამ იალტირიანს შორის, რომელიც არ შეწყვეტილა შემდგომში რამდენიმე ათეული წლის მანძილზე.

ლენინგრადში ისინი სხვადასხვა წონაში ცდიდნენ ძალებს. ქვემსუბუქში, სადაც ილურიძე გამოდიოდა, ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ადგილობრივი გულშემატკივრების კერპმა ევგენი ტარასოვმა, რომელმაც ხუთიდან ოთხი ბრძოლა წმინდად მოიგო და გადამწყვეტ შეხვედრისთვის ვასილ ილურიძეს ელოდებოდა, რომელსაც ასევე ხუთი წრის შემდეგ ორი ბრძოლა ქულებით ჰქონდა მოგებული, სამი კი წმინდად. პრეტენდენტთა ფინალური ბრძოლის წინ უკვე გაირკვა, რომ მასპინძლები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლას ვერ მოიგებდნენ, ვინაიდან არ ჰყავდათ არც ერთი ჩემპიონი. რაკოგმა მჩატე წონაში და ივანოვმა მძიმეში მეორე ადგილები დაიკავეს, პონომარენკო კი საშუალოში მხოლოდ მესამე იყო. ტარასოვის გამარჯვება ფინალში საქმეს ნაწილობრივ თუ უშველიდა მხოლოდ — ლენინგრადს ერთი ჩემპიონი მაინც ეყოლებოდა. ეს იყო და ეს.

მაგრამ ვასილ ილურიძე, ბუნებრივია, სხვაგვარად ფიქრობდა, მას თვითონ სჭირდებოდა გამარჯვება გადამწყვეტ შეხვედრაში, რათა საქართველოს მოჭიდავეთა ისედაც წარმატებული გამოსვლა კიდევ უფრო უდავო და დამაჯერებელი გაეხადა. ერთი სიტყვით, ორთავე მხარეს ჰქონდა დასაბუთებული პრეტენზიები და მტყუან-მართალი გადამწყვეტ ორთაბრძოლას უნდა გამოვევლინა. ლენინგრადელთათვის სამწუხაროდ, დაძაბული ბრძოლა არ შედგა. მეოთხე წუთის დასაწყისში ქართველმა მოჭიდავემ მეტოქე მოგვერდზე წამოიღო და ლამაზი, ქრეს-ერმათიული ილეთით ტარასოვი ხალიჩას გააკრა. ასე დაიწყო ვასილ ილურიძის ცხოვრება დიდ სარბიელზე, დაიწყო იგი საკავშირო ჩემპიონატში. ბრწყინვალე გამარჯვებით, რომელმაც კანონიერ სიხარულთან ერთად შეძლო სახელი და ავტორიტეტი მოუტანა.

მერე იყო ხანგრძლივი, მრავალწლიანი „დავა“ ილურიძისა და იალტირიანს შორის, რომელსაც ხან ერთისთვის მოჰქონდა სიხარული, ხან მეორესთვის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გამარჯვების სასწორი ამ ურთიერთობაში უფრო მეტად კიეველი ჩემპიონის მხარეს იხრებოდა. სხვათა შორის, იალტირიანისა და ილურიძის დუელი გაგრძელდა მერეც, როცა მეგობრებმა თავი დაანებეს აქტიურ სპორტს და მთლიანად პედაგოგიურ სარბიელზე გადაიხაცვლეს. ისინი აქაც ერთმანეთის ღირსეული პარტნიორები აღმოჩნდნენ და ბევრი სახელოვანი მოჭიდავე, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი და პრიზიორი აღზარდეს.

ვლადიმერ რუბაშვილი ილურიძის შრომის პირველი დიდი დაფასება იყო და რა გასაკვირია, რომ ბედნიერი ოსტატი გულწრფელად ხარობდა შეგირდის თავგრუდამხვევი წარმატებებით. შოთა ლომიძის გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატში ვასილ ილურიძის, როგორც მწვრთნელის, ადამიანისა და მოქალაქის ხელახლა დაბადებას ჰგავდა. ამ ორ სიხარულს შორის კი უამრავი ძვირფასი და ახლობელი გვარია: ედი შერ კოშკაძე, ჯუმბერ დავლიანიძე, ანზორ გვიმრაძე, ომარ ეგაძე, ნუგზარ გაჩეჩილაძე, ლადო მესტვირიშვილი, ზაურ ძიძიკაშვილი, ქართლოს გილაური, ალე ილურიძე, მამია და ტარიელ კარიჭაშვილები და... კიდევ ბევრი სხვა.

ერთი პერიოდი ვასილ ილურიძე, როგორც მწვრთნელი, ჯერ საქართველოს, მერე კი საბჭოთა კავშირის ნაკრებში იყო მიწვეული. იმიტომ, რომ იყო მომთხოვნი და დაკვირვებული მშრომელი, დღეებს ატარებდა ხალიჩაზე, გრძნობდა დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმეს. სხვათა შორის, ამ თვისებებისა და კიდევ იმის გამო, რომ მოუსყიდავი, პრინციპული და ობიექტური კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი, ყველა მეტნაკლებად პასუხსაგები შეხვედრის მსაჯობას საკავშირო ჩემპიონატებში თუ საერთაშორისო სარბიელზე ანდობდნენ მას, როგორც უმაღლესი რანგის არბიტრს.

ამბობენ სიკვდილი ყველა ვალს ისტუმრებსო. ვასილ ილურიძეს ცხოვრებაში ვალი არ დასდებია. პირიქით, მან თავად დაადო ვალი ცხოვრებას და ამ ქვეყნიდან წელში გამართული წავიდა.

ნოდარ გუგუშვილი

ვასილ ილურიძე

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
1925-1972 წ.წ. თბილისი
ჭიდაობა დაიწყო 1938 წელს.
1946 წელს სპორტის ოსტატი გახდა.
სსრ კავშირის ჩემპიონატების (როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში) ცამეტგზის მონაწილე. 40-იანი და 50-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე ქვემსუბუქსა და მსუბუქ წონებში.
სპორტსაზოგადოებების — „ბოლშევიკი“, „ისკრა“, „ბურევესტნიკი“ წევრი.
1958 წელს მიენიჭა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება. 1960 წელს გახდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, 1962 წელს კი სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. იყო სსრკ ნაკრების ერთ-ერთი დამრიგებელი. აღზარდა უძლიერეს მოჭიდავეთა მთელი პლეადა.
სპორტული მიღწევები:
1945 წ. ლენინგრადი. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (ქვემსუბუქი წონა, 61 კგ) — I ადგილი.
1947 წ. ტალინი. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (ქვემსუბუქი, 62 კგ) — III ადგილი.
1947 წ. მოსკოვი. სსრკ ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (ქვემსუბუქი, 62 კგ) — II ადგილი.
1948 წ. მოსკოვი. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მსუბუქი, 67 კგ.) II ადგილი.
1949 წ. ბაქო. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მსუბუქი, 67 კგ) — III ადგილი.
1949 წ. ბუდაპეშტი. სტუდენტთა X მსოფლიო თამაშები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა, 67 კგ.) — I ადგილი.
1950 წ. ტულა. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა, 67 კგ) — III ადგილი.
1951 წ. თბილისი. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა, 67 კგ) — II ადგილი.
1951 წ. ბერლინი. სტუდენტთა XI მსოფლიოს თამაშები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა, 67 კგ) — I ადგილი.
1952 წ. ბაქო. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა, 67 კგ) — II ადგილი.
1954 წ. ლენინგრადი. სსრკ ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა, 67 კგ) — III ადგილი.

რა ხდება ქვეყანაზე

● **საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი მხარს უჭერს იუგოსლავიასთან დაკავშირებულ 100-დღიან სპორტულ-კულტურული ემბარგოს გაუქმებას. პრეზიდენტი ბელგრადში შეხვდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს და გამოთქვა რწმენა, რომ ატლანტაში ჩაკა იუგოსლავიის ძველებურად ძლიერი სპორტული დელეგაცია. სამარანჩს შეხვდნენ, აგრეთვე, იუგოსლავიის პრეზიდენტი ზორან ლილიჩი და სერბიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი. გადაწყდა, რომ სოკის მეთაური უშუამდგომლებს მათ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

● **ცნობილმა** ჩინელმა მწვრთნელმა, მძლეოსნობის აღიარებულმა სპეციალისტმა იუნრენმა, როგორც იქნა, დაალწია თავი დეპრესიულ მდგომარეობას, რაც ამ ქვეყანაში გახმაურებულმა დოპინგ-სკანდალმა გამოიწვია და ისევ დაიწყო მუშაობა ახალგაზრდებთან. ოლონდ ამჯერად მან ჯგუფში ახალბედა მძლეოსნები აიყვანა. გამოჩენილ სპორტსმენთაგან მასთან ივარჯიშებს მხოლოდ მსოფლიოს რეკორდსმენი 1500 მეტრზე რბენაში კუ იუნკსია.

● **საფრანგეთმა** და ავსტრალიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დოპინგის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ამრიგად, საფრანგეთი ეკონომიკურობით მეექვსე ქვეყანა გახდა, რომელმაც ივალდებულა ანტიდოპინგურ კამპანიაში თანამშრომლობა. მანამდე ანალოგიური ვალდებულება იკისრეს ავსტრალიამ, კანადამ, ინგლისმა, ნორვეგიამ და ახალმა ზელანდიამ.

«მტკვრისპირელი შევარდენი»

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე).

იწვიეს და მალე სამხედრო სასწავლებელში მიავლინეს. აქაც ხალისით ავარჯიშებდა კურსანტებს. ჯარმოვლილი სამშობლოში დაბრუნდა 1918 წელს.

1919 წლის 3 იანვარს მოეწყო „შევარდენის“ დამფუძნებელი კრება. შეიქმნა „შევარდენის“ ქართული საზოგადოებათა კავშირი, რომლის თავკაცად აირჩიეს გიორგი ეგნატაშვილი.

„შევარდენმა“ დიდი შრომა გასწია ტანვარჯიშის შემდგომი განვითარებისათვის. ატარებდა მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებს, სპორტულ დღესასწაულებს, ტურისტულ ლაშქრობებს.

გ.ეგნატაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის დედაენაზე სპორტული სახელმძღვანელოების შექმნასა და გამოცემაში. ჯერ კიდევ 1908 წელს ჩეხური ტერმინოლოგიიდან შეასრულა რუსული თარგმანი და მის შესაბამისად დაადგინა დაახლოებით ექვსასამდე ქართული ტანვარჯიშული ტერმინი. ამდენად მას დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო ქართული, არამედ რუსული ტანვარჯიშული ტერმინოლოგიის შექმნაშიც. სწორედ ეს გახლდათ საწინდარი იმისა, რომ 1936 წელს გ.ეგნატაშვილი ლ.ორლოვთან, რ.ბრაჟნიკთან და ა.ბრიკინთან ერთად შეიყვანეს ახალი ტანვარჯიშული ტერმინოლოგიის დამმუშავებელ კომისიაში.

გ.ეგნატაშვილს სახელსახების ხელნაწერი შედგენილი აქვს ქართული ენის ღრმა ცოდნით. სახელსახების მთელ შინაარსში ნათლად გამოსჭვივის ქართული ენის შეუდარებელი მოკლე ფესვიანობა და მათი ერთმანეთთან შემოკლებით, მეტყველი გადაბმა.

ჩვენს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებს დიდი და მეტად საინტერესო მემკვიდრეობა გააჩნიათ. მათმა ნოვატორმა წინაპრებმა მრავალი ილეთი და ილეთთა ნაერთი შექმნეს, რითაც წარუშლელი კვალი დატოვეს ტანვარჯიშის ისტორიაში.

გიორგი ეგნატაშვილი გახლდათ პრინციპული და ობიექტური მსაჯი. აი, რას წერს პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ ციბაძე „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით „სიმართლის გუშაგი“, რომელიც ეძღვნება გიორგი ეგნატაშვილს. გოგლიკო ბაბილოძეს ღერძზე ვარჯიშის ორბისებური სილაღით შესრულებისთვის მსაჯებმა უმაღლესი 20 ქულა დაუწერეს. „დამსწრეთა ტაში დიდხანს არ დამცხრალა. ეს ოვაცია სანახევროდ გოგლიკოს მწვრთნელსაც ეკუთვნოდა; მჯყურებელი ფეხზე წამომდგარი ულოცავდა მის აღზრდილს გამარჯვებას.

მაგრამ გიორგი პირმოქუფრული იდგა და საერთო ზეიმში მონაწილეობის ნაცვლად მგლოვიარესავით მოშვებულიყო.

— ამხანაგებო! — გაისმა მისი ხმა, როდესაც ოვაცია მინელდა, — სამწუხაროდ, ვერავინ შენიშნა ის შეცდომა, რაც ჩემმა მოწაფემ დაუშვა, აღმატრიალი ორის ნაცვლად მან მხოლოდ ერთხელ შეასრულა. საწყენია, მაგრამ დამალვა არ შემიძლია; მე ჯერ ნამუსიან კაცად მიცნობენ... დარცხვენილმა მსაჯებმა, ცხადია შეცვალეს გადაწყვეტილება და გაიუმქეს შედეგი. — როცა მარტონი დავრჩით, იგონებდა გოგლიკო, — გიორგი მასწავლებელი მომიახლოვდა, აკანკალებული ხელი თავზე დამადო და ჩურჩულით მითხრა: — „შენი მასწავლებელი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, ბიჭო!“

გიორგი ეგნატაშვილის ობიექტურობა, მომთხოვნელობა და პრინციპულობა საწინდარი იყო იმისა, რომ მას ხშირად ხედავდნენ დიდი მასშტაბის მთავარ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში.

გიორგი ეგნატაშვილს არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა. ერთხელ ნანახსა და გაგონილს ისე აღიბეჭდავდა მეხსიერებაში, რომ დავიწყება არ ეწერა. ფიზკულტურულ და სპორტულ სფეროში იგი ცოცხალი ენციკლოპედია იყო. აი, რას იგონებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია სალაძე გიორგი ეგნატაშვილზე:

„— საქმეზე ვიყავი უნივერსიტეტში. გულმა გამიწია ტანვარჯიშის დარბაზისაკენ, სადაც ოდესღაც გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი. მივედი, კარები გავაღე და დავინახე, ოთხმოცდაათ-ასი ადამიანი ერთ ადგილზე ფეხაკრეფილი ვიდგავ. ეს ადამიანები ერთ-ერთ ბოქაულ-ბოქაულ ბერიკაცს ეტაცებოდნენ. ბერიკაცი ბოქაულ-ბოქაულ ბერიკაცს ეტაცებოდა. ეს

საქართველოს თასის მეოთხედფინალი:

„სამტრედია, სამტრედია — მუდამ მზიანო...“

10 მარტი. სამტრედია, ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 11.000 მაყურებელი. საქართველოს თასის მეოთხედფინალი. „სამტრედია“ (სამტრედია) — „დინამო“ (თბილისი) 2-0. მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი), ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ლ. რაზმაძე (გორი).

„სამტრედია“: ჭანტურია, იონანიძე (ამაშუკელი), გოგიტაძე, ჯელაძე, ცომაია, ჯიშკარიანი, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ჩხაიძე, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია.

„დინამო“: ზოიძე, ბერაძე, დიდავა, კიკნაძე, მაჭავარიანი (ხუჯაძე), დემეტრაძე, (ლობჟანიძე), ცქიტიშვილი, ჯამარაული, ანჩაბაძე, იაშვილი, ყაველაშვილი.

გოლები: გოგიაშვილი, ზ. ჯანაშია.

გაფრთხილება: იაშვილი, ლობჟანიძე, იონანიძე.

თურქეთში „აკიდებულმა“ ვირუსულმა გრიპმა გრიგალივით გადაუარა „სამტრედიას“, ფეხბურთელებს ამის გამო ბოლო ერთი კვირა პრაქტიკულად არ უვარჯიშიათ. მატჩამდე მაინც მოხერხდა მათი მეტნაკლებად განკურნება (თუ არ ჩავთვლით გუჯაბიძესა და სიდამონიძეს)-გაცილებით მეტი საზრუნავი ჰქონდათ სტუმრებს. არგენტინა-გერმანია-თურქეთი-ისრაელი-ოსეთში წამყვან მოთამაშეთა „ვაფრენამ“, ნემსაძის ტრავმამ საგონებელში ჩააგდო „დინამოს“ ხელმძღვანელობა (მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს გუნდის ტექნიკური დირექტორი ჯაჯა ჟვანია ასრულებდა).

თამაშის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ მასპინძლები შეტევაში იმედებს ჯანაშიებზე ამყარებდნენ, ხოლო სტუმრები — ახალგაზრდა იაშვილზე. გაჩაღდა უშედეგოთ ბრძოლა მინდვრის შუაგულის დასაპატრონებლად. თავდაპირველად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თბილისელთა ნახევარდაცვა უფრო მობილურად გამოიყურებოდა, რის გამოც სტუმრებმა ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობაც კი მოიპოვეს. ტაიმის შუაგულში მოულოდნელად დაშავდა მაჭავარიანი, რომელიც დაცვისა და შუა ხაზის მთავარი დამაკავშირებელი იყო. უნდა ვაღიაროთ, რომ შეცვლებმა და ტაქტიკურმა გადაადგილებებმა აშკარად ვერ გაამართლა: მოიშალა კავშირი რგოლებს შორის, ინერტულნი გახდნენ ნახევარდაცვისა და წინა ხაზის მოთამაშეები.

„სამტრედიამ“ თანდათან უმატა ტემპს, აქტიურად და სახიფათოდ ამოქმედდა ზ. ჯანაშია, რომელიც საუკეთესო იყო მინდორზე.

სამტრედიელთა წარმატება კანონზომიერი გახლდათ. ისინი უფრო სწრაფნი, მონდომებულნი ჩანდნენ, რაც შეეხება „დინამოს“, მთელი მატჩის მანძილზე „სამტრედიის“ კართან არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნია. კარგა ხანია ასეთი უგერგილო „დინამო“ ჩვენ არ გვინახავს. დინამოელები საკმაოდ ერთფეროვან, პრიმიტიულ, ძველმოდურ ფეხბურთს თამაშობენ: გაუთავებელი მოკლე გასწვრივი გადაცემები, ფლანგური შეტევების იგნორირება და სხვა.

ორიოდე სიტყვა გატანილი გოლების შესახებ: მატჩის 31-ე წუთზე მეტოქის საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან სამტრედიელებმა უფლება მოიპოვეს შეესრულებინათ საჯარიმო დარტყმა. ასეთი შემთხვევებისათვის მათ ორი „შტატიანი“ შემსრულებელი ჰყავთ: ჯიშკარიანი და გოგიაშვილი. ამ უკანასკნელმა უნაკლოდ გამოიყენა თავისი შანსი, მეორე ბურთი კი 64-ე წუთზე ზ. ჯანაშიამ გაიტანა თავისი სოლოგარღვევის შემდეგ.

განმეორებითი მატჩი 18 მარტს გაიმართება თბილისში.

ჯემალ ჭიპაშვილი.

ამ დღეს შედგა აგრეთვე მეოთხედფინალის სხვა განმეორებითი შეხვედრები:
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ბათუმი) 1—1
„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2—2
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ქიზიყი“ (წნორი) 6-1
ამრიგად, თასის ნახევარფინალში უკვე გავიდნენ ბათუმის „დინამო“ ზუგდიდის „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **აზიის** ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა პიტერ ველაპანმა იაპონიასა და კორეას წინადადება მისცა განიხილონ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთობლივად ჩატარების შესაძლებლობა. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით ამ ორ ქვეყანას აქვს ტურნირის ჩატარების პრეტენზია. საბოლოო გადაწყვეტილებას ფიფა გაიტანს ივნისში მიიღებს.

● **მექსიკამ** უკან გაიტანა მოთხოვნა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციის თაობაზე. მთავარი მიზეზი გახლავთ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ქვეყანა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მექსიკას ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის უმნიშვნელო შანსი ჰქონდა, ვინაიდან ორჯერ, 1970 და 1986 წლებში უკვე იყო ჩემპიონატის მასპინძელი. ამასთან, ფიფას პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა ოფიციალურად, რომ XXI საუკუნის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი უსათუოდ აზიაში უნდა ჩატარდეს.

● ფიფას სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კომისია სულ მალე გაემგზავრება ნიგერიაში, რათა შეისწავლოს ამ ქვეყანაში იუნიორთა (20 წლამდე ასაკის) მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესაძლებლობა. შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ნიგერიაში მძვინვარე ქოლერისა და მენინგიტის ეპიდემიამ უმძრავი სიცოცხლე შეიწირა. ფიფამ წაართვა ამ ქვეყანას ტურნირის მოწყობის უფლება, რამაც ნიგერიელთა მძაფრი პროტესტი გამოიწვია. სწორედ ამის გამო გადასინჯა ფედერაციამ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება და გამოჰყო ავტორიტეტული კომისია. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეს-ატაშემ ჯოზეფ აჯიბოლამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ თავი მოვუყარეთ რესურსებს და აღარ გვაეჭვებს ის, რომ ფიფა-ს უმკაცრეს შემოწმებას წარმატებით გავართმევთ თავს“. ნიგერიელები დარწმუნებული არიან, რომ ჩემპიონატი მათთან მოეწყობა, ამიტომ ატარებენ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, როგორც ლაგოსში, ისე ქვეყნის სხვა სამ დიდ ქალაქში — ენეგუში, კადუნსა და იბადანში.

● **„ბორუსიის“** კლუბის წლიურმა ფულადმა ბრუნვამ სარეკორდო თანხას — 60 მილიონ მარკას მიაღწია. კლუბის ხაზინადარის განცხადებით, ამის მიზეზი სპონსორებთან ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმება ყოფილა. ჯერ მარტო უეფას თასის ბოლო სამ გათამაშებაში მონაწილეობამ (შედეგის მიუხედავად) გერმანული ფეხბურთის დღევანდელ ლიდერს 45 მილიონი მარკა მოუტანა. არადა, 1986 წელს, როცა გუნდს ლიგის დატოვება ემუქრებოდა, მისი წლიური ბრუნვა 10 მილიონ მარკას არც კი აღემატებოდა. ექსპერტები ფიქრობენ, რომ 2000 წლისათვის თანხა კიდევ უფრო გაიზრდება და 100 მილიონს მიაღწევს.

● **ეგვიპტის** ეროვნულ ფედერაციაში დიდი დისკუსია გამოიწვია ქალთა ფეხბურთის განვითარების პერსპექტივებმა. ამ არაბული ქვეყნის რელიგიური მოღვაწეები მოითხოვენ ქალთა ფეხბურთის აკრძალვას, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ისლამის ტრადიციებს. კენჭისყრის დროს ფედერაციის 8 წევრმა მხარი დაუჭირა ქალთა ფეხბურთის აკრძალვას, 14-მა კი უარყო ეს წინადადება. თუმცა პროგრესულად მოაზროვნე ხალხს რაღაც დათმობებზე წასვლა მაინც მოუხდა. კერძოდ, ქალებმა არ უნდა გაიშვლონ ფეხები და თავზე სპეციალური თავსაკრავი ატარონ.

● **ფიფას** ახალი პრეს-ატაშე კიტ კუპერი, რომელმაც, ამ პოსტზე შეცვალა გვიდო ტონიონი, წარმოშობით ინგლისელია, მაგრამ 25 წელიწადია შვეიცარიაში ცხოვრობს. კუპერი გარკვეულ წრეებში მარკეტინგის ჩინებულ მცოდნედ ითვლება. ტონიონის გადადგომა გამოიწვია იმან, რომ იგი ვერ შეეწყო, მისივე ენით რომ ვთქვათ, „გენერალური მდივნის — ზეპ ბლატერის ახირებულ ხასიათს“. ტონიონი სამუშაოდ გადავა „ჰამბურგში“, მით უფრო, რომ ამ იდეის მომხრეა კლუბის პრეზიდენტი რონალდ ვულფი.

● **ევროპის** 1980 წლის ჩემპიონმა, გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ჰორსტ ჰრუბეშმა დრეზდენის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მხოლოდ სამი თვე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში გუნდმა ორი შეხვედრა დაამთავრა ფრედ და სამი წააგო.

● **ეს ალბათ** თავისებური რეკორდია: 26 წლის ინგლისელმა მცველმა დევიდ ბაროუზმა ერთ სეზონში სამი კლუბი გამოიცვალა. იგი ჯერ „ვესტ ჰემში“ თამაშობდა, მერე „ევერტონში“ გადავიდა, ბოლოს კი თავი „კოვენტრში“ ამოჰყო. მის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტების ოდენობა (1997 წლამდე) 1,1 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება. შეგახსენებთ, რომ ბაროუზი ინგლისში დღეს დღეობით საუკეთესო მარცხენა მცველად ითვლება.

● **იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ამას წინათ მკაცრი სასჯელი გამოუტანა წამყვან კლუბებს — „მილანს“ და „ჯენოას“. მიზეზი ცნობილია: ამ ორი გუნდის შეხვედრისას მოხდა სკანდალი, რომელმაც შეიწირა ერთ-ერთი გულშემატკივარი. სასჯელი ასეთია: „მილანი“ და „ჯენოა“ ეროვნული ჩემპიონატის ორ-ორ კალენდარულ მატჩს საკუთარის ნაცვლად გამართავენ ნეიტრალურ სტადიონებზე. როგორც ცნობილი გახდა, ორივე კლუბის გამგებლებმა პროტესტით მიმართეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

● **ბოლო** ხანებში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“ განზრახული აქვს სატრანსფერო სიაში გადაიყვანოს თავისი მოთამაშე, რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეი კანჩელსკისი და მიჰყიდოს რომელიმე მსურველ კლუბს. მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა საჯაროდ უარყო ეს ცნობა და განაცხადა, რომ კანჩელსკისთან განშორებას იგი არ აპირებს.

● **იტალიის** „იუვენტუსის“ ცნობილი მოთამაშე რობერტო ბაჯო მძიმე ტრავმის გამო კარგა ხანს მკურნალობდა და ვერ გამოდიოდა მინდორზე. ახლა რ. ბაჯო გამოჯანმრთელდა და კვლავ დაბრუნდება მწყობრში.

● **ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა ინგლისის ასოციაციის გადაწყვეტილება „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშის ერიკ კანტონას დისკვალიფიკაციის თაობაზე. ე. კანტონას 30 სექტემბრამდე აკრძალული აქვს მონაწილეობა როგორც ამ კლუბის, ისე საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში. გარდა ამისა, მას ამ ვადამდე უფლება არა აქვს გადავიდეს სხვა რომელიმე კლუბში.

● **ცნობილია,** რომ გულშემატკივართა ხულიგნობის გამო 15 თებერვალს დუბლინში ჩაიშალა ირლანდიისა და ინგლისის ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. ახლა შესაძლოა ეს თამაში დუბლინშივე შედგეს 22 მაისს, მაგრამ ამ ქვეყნების ხელისუფალნი, აგრეთვე, პოლიციური სამსახურები უხიფათობის სრულ გარანტიას მოითხოვენ.

● **გერმანიის** საფეხბურთო ფედერაციამ ამას წინათ სპეციალური პრიზით დააჯილდოვა 33 წლის ცნობილი მცველი, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი გვიდო ბუხვალდი, რომელიც 11 წელი თამაშობდა „შტუტგარტში“, მერე კი გადავიდა იაპონიის „ურავარედ დაიმონდში“. 31 მაისს გერმანიაში დაგეგმილია ამხანაგური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ამ ქვეყნის ნაკრები და თვით გ. ბუხვალდის მიერ შედგენილი გუნდი.

● **მარსელის** „ოლიმპიკის“ ყოფილი პრეზიდენტი ბერნარ ტაპი სასამართლოს ვერდიქტით ვალდებულია 10 ათასი ფრანკი ჯარიმა გადაიხადოს იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მან მიაყენა საფრანგეთის გენერალურ პროკურორს ერიკ დე მონგ�ფიეს. ბ. ტაპიმ პროკურორს საჯაროდ უწოდა რეგვენი, სააპელაციო სასამართლომ მისი ეს გამოხდომა ყოვლად მიუღებლად და თავხედობად მიიჩნია ესოდენ დიდი თანამდებობის მოხელის მიმართ.

ბერტოლდს სურს თბილისში თამაში

„შტუტგარტის“ (გერმანია) ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი თომას ბერტოლდი სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გახლავთ. მას ქვეყნის ნაკრებ გუნდში 62 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ მხრივაც გამორჩეულია თანაკლუბელთა შორის. მაგრამ ბოლო დროს მისი დამოკიდებულება ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან ბერტი ფოგთსთან შესამჩნევად დაიძაბა. ყოველ შემთხვევაში, ფოგთსი შეგნებულად უვლის გვერდს ამ ფეხბურთელს, თუმცა თავის პოზიციას გამოკვეთილად არ განმარტავს.

ამასთან დაკავშირებით ბერტოლდმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „ჩვენ შევთანხმდით, რომ ტელეფონით დავუკავშირდებოდით ერთმანეთს და გადავწყვეტდით ესპანელებთან მატჩში ჩემი მონაწილეობის საკითხს. მაგრამ გავიდა ორი თვე და მწვრთნელს არ დაურეკია. თუ მას 29 მარტისათვისაც დაავიწყდება დარეკვა, როცა ჩვენი გუნდი თბილისში საქართველოს ნაკრებს ეთამაშება, მე გავწყვეტ მასთან კავშირს და ყოველგვარ ურთიერთობას“.

ჯოვანი ტრაპატონი — ოპტიმისტი და პრაგმატიკოსი

ჯოვანი ტრაპატონი, როგორც ცნობილია, პირველი იტალიელი ფეხბურთის მწვრთნელია, რომელიც ბუნდესლიგაში მუშაობს. გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● **რას იტყვით ახალი ქალაქის შესახებ?**

— მოხიბლული ვარ მიუნხენით, მომწონს აქაური წესრიგი უამრავი ტურისტის მიუხედავად. ამ ქალაქს აქვს რაღაც თავისებურად მკაცრი სილამაზე, რომელიც გერმანიის სხვა ქალაქებს არ ახასიათებთ.

● **პრობლემას თუ გიქმნით გერმანული ენა?**

— დიდ პრობლემებს. მე მესმის, რომ თუ გერმანიაში მუშაობა მინდა, ენას, რაც შეიძლება მალე უნდა დავეუფლო. აი ენის სწავლის დრო კი აღარ მრჩება: ვარჯიშები, მატჩები, მგზავრობა, ჟურნალისტები, როდისღა ვისწავლო გერმანული?

● **აბა როგორ მუშაობთ ფეხბურთელებთან?**

— ზოგიერთი სიტყვა ვისწავლე, ცოტაოდენი ინგლისურიც ვიცი. ისე კი, თარჯიმანს ვიშველიებ.

● **რას იტყვით დღევანდელი „ბაიერნის“ შესახებ?**

— ჯერ ერთი, გუნდი, რომლის მოთამაშეთა უმრავლესობა ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა, ახლა მაღალ კლასს ვერ აჩვენებს. დიდი მასშტაბის შეჯიბრებებს, ჩვეულებრივ, გარკვეული ჩავარდნაც მოჰვება ხოლმე, ფეხბურთელებს ხომ თითქმის არ დაუსვენიათ.

● **ბევრ დიდ ფეხბურთელთან გიმუშავიათ. დასახელეთ შემადგენლობა, რომელიც თქვენთვის ყველაზე უფრო ძვირფასია.**

— არ მინდა ვინმეს გამოყოფა. ეს უსამართლობა იქნებოდა დანარჩენთა მიმართ. როცა ბევრ მოთამაშესთან მუშაობ, მათ მიმართ თანაბრად მადლიერი უნდა იყო. არასდროს ვყოფდი ჩემს მოთამაშეებს უკეთესად და უარესებად. ვმუშაობდი პლატინისთან, პრესა და კრიტიკა ახლა ამტკიცებენ, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი მოთამაშე იყო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. იგი ჩინებული ფეხბურთელი იყო, მაგრამ გუნდს იმდენივე მისცა, რამდენიც ტარდელიმ, ძოფმა, ჯენტილემ და სხვებმა, ნაკლები არც მათეუსს გაუკეთებია. ამიტომ ყველასი მადლობელი ვარ და არავის გამოვყოფ. ერთადერთი, რომლის განსაკუთრებით აღნიშვნა მინდა, არის გაეტანო შირეა, რომელიც ხუთი წლის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ისიც იმიტომ, რომ სიკვდილმა იგი უფრო ადრე გამოჰყო სხვებისგან, სანამ ამას მე გავაკეთებდი.

● **ხომ არ მიგაჩნიათ, რომ იტალიაში გავრცელებული ტაქტიკური სქემების გამო იმპროვიზაციასა და ფანტაზიას გასაჭანი არა აქვს?**

— ეს იმიტომ, რომ ჩვენს ჩემპიონატში მთავარი მნიშვნელობა ქულას ენიჭება, რაც რამდენადმე გულშემატკივრებზეც არის დამოკიდებული, ისინი ფულს იხდიან ბილეთში და თავისი გუნდის მოგება სურთ, ამიტომ მხოლოდ იმაზე ზრუნავ, რომ მოიგო, სანახაობითი მხარე უკანა პლანზე გადადის. ეს ცუდია, ამით იგივე გულშემატკივრები ზარალდებიან.

● **იტალიური პრესა მკაცრი ტაქტიკური სქემების მიმდევრად სწორედ თქვენ გასახელებთ.**

— ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის ფავორიტ გუნდებს ვწვრთნიდი, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ. ლამაზ ფეხბურთს იტალიაში მხოლოდ ის გუნდები აჩვენებენ, ვინც მტკიცედ იმყოფება სატურნირო ცხრილის შუაგულში. მათგან გმირობას არავინ ელის, მწვრთნელზე დაწოლა უმნიშვნელოა. ასეთ გუნდებს შეუძლიათ ლამაზი ფეხბურთი ითამაშონ. ეს მაშინ, როცა „იუვენტუსისა“ და „მილანისთვის“ მეორე ადგილიც კი ჩავარდნად ითვლება. ამ შემთხვევაში არავინ დაგიდევს, როგორი ხარისხის ფეხბურთს თამაშობდი, მწვრთნელს ექსპერიმენტების უფლებას არავინ აძლევს. ამიტომაც არის, რომ იტალიურ ფეხბურთში ყველაფერს შედეგი წყვეტს.

● **ხომ არ ნიშნავს ეს, რომ თქვენი წარმატებები ფეხბურთში ძირითადად ილბლს უნდა მივაწეროთ?**

— იღბალი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ უნიჭო ადამიანი, რაც არ უნდა იღბლიანი იყოს, დიდ შედეგებს მიაღწევს.

მოამზადა
გივი თოდრელმა

„ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე გაზეთის თანამშრომელს ხათუნა აფაქიძეს მამის

ანზორ აფაქიძის

გარდაცვალების გამო.

ფორმენს ჩემპიონობა ჩამოართვეს

კრივის მსოფლიო ასოციაციის (ვბა) აღმასკომმა 46 წლის ჯორჯ ფორმენს ჩამოართვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში. ფორმენი დაისაჯა იმიტომ, რომ ყურად არ იღო ასოციაციის გაფრთხილება და თვითნებურად შეარჩია მეტოქე — გერმანელი აქსელ შულცი, რომელიც ვბა-ს რეიტინგში საერთოდ არ არის მოხსენიებული უძლიერესთა შორის.

მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვაკანტურად გამოცხადდა. ახლა ოქროს ქამრისთვის იბრძოლებენ ვბა-ს რეიტინგით პირველი და მეორე ნომერი პრეტენდენტები — ტონი ტაკერი და ბრიუს სელდონი. რაც შეეხება ფორმენს, იგი დარჩა მსოფლიოს ჩემპიონად კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) ვერსიით.

ორი რეკორდი ერთ ჯერ

ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა 10 თებერვალს რინოში (აშშ) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა დარბაზებისათვის 400 მ. რბენაში — 44,97. მაშინ ამ შედეგს ფანტასტიკური უწოდეს. გავიდა სამი კვირა და ახლა უკვე ატლანტაში ჯონსონმა ეს რეკორდიც გააუმჯობესა — აჩვენა 44,63.

თენგიზ მელაშვილი

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა რიგებმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თენგიზ მელაშვილი.

ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ იგი, როგორც თბილისის „დინამოსა“ და თბილისის არმიელთა გუნდის ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი, შემდეგ მარჯვენა გარემარბი. ახსოვთ რა გამანადგურებელი ანგარიშით ამარცხებდა მისი „ტოდო“ მეტოქეებს — **9:0, 10:1, 11:2** და ა.შ. ამ გოლებიდან თითქმის ნახევარი თენგიზ მელაშვილის წილად მოდიოდა. მკვრივი იყო და ძლიერი, დაკუნთული, მცველებს თითქმის ვერ გამოჰყავდათ წონასწორობიდან. ერთი შეხედვით დინჯი ჩანდა, მაგრამ უმალვე სხარტი და სწრაფი ხდებოდა, როგორც კი პარტნიორისგან ბურთს მიიღებდა.

როგორც ფეხბურთელმა პირველი ნათლობა „ნორჩ დინამოელში“ მიიღო. **1953** წელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში შეიყვანეს, ამ გუნდმა მაშინ საკავშირო ასპარეზობაში პირველობა მოიპოვა, მომდევნო წელს კი მეორე იყო. **1955** წელს თენგიზ მელაშვილი თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ჩარიცხეს. მერე „ტოდოში“ გამოდიოდა და **1959** წელს კვლავ „დინამოს“ დაუბრუნდა — ამჯერად ძირითად შემადგენლობაში. **1964** წელს გადავიდა ქუთაისის „ტორპედოში“. მონაწილეობდა ირანის, ფინეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის გუნდებთან მატჩებში. იყო სპორტის ოსტატი. გაისად **60** წლის გახდებოდა. ამ ცხოვრებიდან წავიდა ქართული ფეხბურთისთვის თავდადებული კაცი, კეთილი ბუნების ადამიანი, ტკივილიანია ეს განშორება.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
ფეხბურთის ფედერაცია,
ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი.

იური გურგენიძე გიგლიოთეკა

გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-ზრდის და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფრენბურთში იური პავლეს ძე გურგენიძე. იგი დაიბადა **1931** წელს თბილისში. **1956** წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და იქვე დაიწყო მუშაობა ფიზიკურ-ზრდის და სპორტის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდეგ, ფრენბურთის მწვრთნელად. თამაშობდა ინსტიტუტის ვაჟთა ნაკრებში, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე იყო რესპუბლიკაში.

1967 წელს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სამუშაოდ გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად ფიზიკურ-ზრდის და სპორტის კათედრაზე, ხელმძღვანელობდა ფრენბურთის განყოფილებას, იყო ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი; ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტობის სპორტულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი.

ი. გურგენიძის ხელმძღვანელობით მის მიერ მომზადებული ქალთა ნაკრები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდა საქართველოსა და საკავშირო სარბიელზე, რისთვისაც მიენიჭა დამსახურებული მწვრთნელის წოდება. სადაც კი უმუშავია ი. გურგენიძეს, ყველგან გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით, მინდობილი საქმისადმი დიდი სიყვარულით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი და პიროვნება, რომელთან შეხვედრა მუდამ სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-ზრდის კათედრა და სპორტული კლუბი. საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია.

ხუთი რგოლის გარშემო

ატლანტა დაჯავშნულია

1960 წლის XVII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი რომი წამოაყენებს თავის კანდიდატურას 2004 ან 2008 წლის თამაშების ორგანიზაციაზე. ამ საკითხს იტალიის ეოკის წარმომადგენელი განიხილავს სამარანჩთან ერთად ლოზანაში. აქვე შედგება საუბარი რომში ოლიმპიური მუზეუმის გახსნის თაობაზე.

მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქ ატლანტაში ყველა სასტუმროს ნომერი უკვე დაჯავშნულია. ეს კი არა, დღეს 500 კილომეტრის რადიუსით თავისუფალ ნომერს ვერ იშოვით ვერც სასტუმროში და ვერც მოტელში. ქალაქის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს სტუდენტური კორპუსების მშენებლობა, ვინაიდან ატლანტაში ოლიმპიადისთვის 2 მილიონამდე ტურისტის ჩასვლას ელიან.

კრიმინალური ქრონიკა

ალბერტო ტომბა — სასამართლოში

სულ მალე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში, ალბერტო ტომბა (იტალია) სასამართლოს წინაშე წარსდგება.

არა, თვითონ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, მაგრამ უსიამოვნო მისიის შესრულება მაინც მოუხდება. იგი მოწმედაა გამოძახებული ერთ გახმაურებულ ქურდობასთან დაკავშირებით, რომელიც ოთხი წლის წინ მოხდა და რომელსაც მართლმსაჯულებამ ვერაფრით ვერ დაადგა თავი.

საქმე ეხება საიუველირო მაღაზიის „კარტეს“ გაძარცვას, რომელშიც თორმეტი ბოროტმოქმედი მონაწილეობდა. ექსპერტების მტკიცებით მძარცველებმა წაიღეს განძი, რომელიც მილიონ დოლარადაა შეფასებული. და აი, ამ ბანდიტური თავდასხმის ერთ-ერთ მოთავეს ჯუზეპე რებუსკინის დაკითხვაზე განუცხადებია, რომ დანაშაულის ჩადენამდე რამდენჯერმე იყო მაღაზიაში ტომბასთან ერთად.

რა აარის ამ განცხადებაში მართალი ჯერ დაუდგენელია. ტომბას მენეჯერი კი, ამასთან დაკავშირებით, ასე ფიქრობს: „ალბერტო ყოველწლიურად ათასობით ადამიანს ხვდება. შესაძლებელია რებუსკინისაც იცნობდა. მაგრამ ხომ ვერ ჰკითხავს ყველა ნაცნობს აპირებს თუ არა იგი საიუველირო მაღაზიის გაძარცვას?“

ქალები კვლავ ძალადობენ

ინგლისის ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯეიმს ოიებოლი კინაღამ დაადგა მაიკ ტაისონის გზას. მაგრამ სასამართლომ გამოიჩინა სიფხიზლე, დეტალურად შეისწავლა საქმე და სპორტსმენს მოეხსნა უმძიმესი ბრალდება 20 წლის ქალის ძალით გაუპატიურების თაობაზე, თანაც დამამძიმებელ ვითარებაში — საკუთარი ქალიშვილის თვალწინ. სხდომაზე დადგინდა, რომ შარშან 20 ივნისს ქალი ნებით წაყვა მოკრივეს მის ბინაში, რაც შეეხება ბავშვს, მას სახლის მეორე სართულზე ეძინა და, ბუნებრივია, არაფერი გაუგია.

ვის როგორი ჯიბე აქვს?

არც ისე დიდი ხანია, რაც დაიწყო ჩოგბურთის სეზონი, მაგრამ დიდი სლემის ერთი შეჯიბრება — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (არაფერი რომ ვთქვათ სხვა საერთაშორისო ტურნირებზე) უკვე გაიმართა. პროფესიულ ჩოგბურთელთა კავშირმა გამოაქვეყნა სეზონის დაწყებიდან სპორტსმენთა მიერ მიღებული ჯონორარების სია, რომელიც ასე გამოიყურება.

ვაჟები: 1. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 427.052 დოლარი; 2. ანდრე აგასი (აშშ) — 414.760; 3. ბორის ბეკერი — 284.558; 4. მიხელ შტიხი (ორივე — გერმანია) — 283.078; 5. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 267.564; 6. პიტ სამპრასი (აშშ) — 313.030; 7. უეინ ფერეირა (სამხრ. აფრიკის რესპუბლიკა) — 201.809; 8. პოლ ჰაარხუისი (ჰოლანდია) — 198.548; 9. თომას ენქვისტი (შვეიცარია) — 192.398; 10. მაიკლ ჩანგი (აშშ) — 185.710.

ქალები: 1. მარი პიერსი (საფრანგეთი) — 356.796; 2. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 210.894; 3. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 174.447; 4. კიმიკო დატე (იაპონია) — 174.134; 5. იან ნო